


780 / 2
1987 / 2

ISSN 0134-9848

1987/6

မေတ္တာစာအုပ်

၁၆၇၅၅-၁
၁၆၇၅၅-၂



იუსტიციის მარხინაკაპარუსი

იკაროსი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანი თამაზ გოლარაძის მიერ

მოკმედი პირნი

იკაროსი

დედალოხი — იკაროსის მამა

ალოპა — იკაროსის დედა

პილადე — ბრმა, „ჩვენი პომეროსი“

იოკასტი

მთავარი ტრიბუნა

მსუბუქ ტრიბუნათა გუნდი

უტრიბუნო კაცი

მწყურვალი

ქურუმი

კუნძული კრეტა. ზღვას კლდოვანი ნაპირი. კლდეს შეტმასნილი ქოხი, იქვე — ფარდული. ქვევით — ფირუზისფერი, ხან მშვიდი, ხან კი მღელვარე ზღვა. ზეთისხილის ხეზე იალქანია გასაშრობად გადაფენილი, ნიაფი არჩევს იალქანს და ასე გგონია, თუ მოისურვა, ისიც უზარმაზარი ჩიტავით აფრინდება და აპყვება ზღვას. სიხარულითა და სიყვარულით საგსია მზიანი დღია. ფარდულში ეკიანებენ თბები, ეკიანებენ ქათმები, ხანდახან ღორის ღრუტუნიც ისმის.

იალქანის ჩრდილში იკაროსი ფუსფუსებს, თან უსტვენს... მერე გატაცებით გახედავს ზღვას და მსუბუქად და ლამაზად აცოცდება კლდებზე, მიმოიხედავს, არაფერს მითვალთვალუბდესო, და ფრთებივით დაიქნევა ხელებს. ადგილზე წტის, თითქოს ფრინველთა საიდუმლო რიტუალს ასრულებდეს, თან სიხარულითა და კმაყოფილებით ყივის.

ქოხის დირეზე ალოპა გადმოდგება, გემრიელად იზმორება, ზღვას გახედავს, მერე კლდებზე აცეკვებულ შვილს დაინახავს; შინიდან ქოთანს გამოიტანს და ბიჭს დაუყვირებს:

ალოპა — ეი, იკაროსი სულ ასე ბადღივით უნდა იბტუნო? გასწი, თხა მოწვევადი არ გაუშვინებ, როგორ ეკიანებ?

იკაროსი — (შეცბება და კლდიდან უსწრაფესად დაქანდება) ახლავი, დედი (დედას ქოთანს გამოართმევს და ფარდულში შევა, ისმის, როგორ ჩაჩხრიალებს რძე ქოთანში).

იკაროსი — (ფარდულიდან) დედი, ძალიან მაძლია აფრინდა?

ალოპა — (თმას ივარცხნის) ვინა?

იკაროსი — ვინ და მამა!

ალოპა — ა... მამა? (ნაღვლიანი ღიმილით) დამე იყო, ბნელოდა, კარგად ვერ დავინახე.

იკაროსი — (საყვედურით) მაგას როგორ ამბობ, დედი? კაცი გაფრინდა და შენ კი... ბნელოდაო. თვალი არ უნდა მოგეშორებინა!

ალოპა — (ამოიხარება) მართალია, ფხიწლიად უნდა ვყოფილიყავი.

იკაროსი — (პაუზის შემდეგ) ალბათ ამ კლდიდან ისკუპა, არა? აქ შემხვედრი დინებებია.

ალოპა — არა! ფანჯრის რაფიდან!

იკაროსი — (რძიან ქოთნით ხელში ფარდულიდან გამოვარდება) ფანჯრის რაფიდან? როგორ თუ ფანჯრის რაფიდან?

ალოპა — როგორ და... ჯერ მაკოცა... მერე ფანჯარა გამოადო, რაფაზე შედგა და სკუპი! კაცები ფრენას ფანჯრის რაფიდან იწყებენ.

იპაროსი — (ქობის ერთადერთ ფანჯარას მიაცქერდა) აქ ხომ ფრთებსაც ვერ გაშლიდა? ერთი უნდა ვხინჯო.

ალმა — მოესწრები, ნუ გეშინია. ჭერ ფანჯარა უნდა მოძებნო.

იპაროსი — რას ამბობ? ჭერ ფრთები უნდა გავაქეთო. ვერ გამოვიდა, მამაჩემის ფრთები რატომ არაფერს შეტყვი? რისგან გააქეთა? ალბათ ძალიან დიდი ფრთები გამოუვიდა, არა? მძიმე იყო? ნუთუ სულ არ დაინტერესდი, როგორ გამოვიგონა მამაჩემმა?



ალმა — (გაბრაზებით) რძე მომაწოდე! (აჭაერებს) „მძიმე იყო?“ დიახ, მძიმე გახლდათ, ჩემი ბედივით. (ამოიოხრა) იმ ფრთებით რომ არ დაინტერესებულყავი, შენი ხსენებაც არ იქნებოდა. ბიჭო, შენ ხვდა საქმე აღარა გაქვს, სულ იმ ფრთებზე რომ ლაპარაკობ?

იპაროსი — როგორ არ გესმის, დედი... შენ მამასაც ვერ გაუგე...

ალმა — (ქოთანს მიწაზე დაანარცხებს) ვერ გავუგე, არა? ვერ გავუგე ხომ? კარგი, რახან ასე ვსურს, უველაფერს ვამბობ! დაფრინავდა, დიახ, დაფრინავდა და მერე როგორი ერთი ფანჯრიდან მეორისკენ, ერთიდან-მეორისკენ... დედალოსი ულა-მაზესი კაცი იყო, თანაც ოქროსხელედა... მეფე მინოსის არქიტექტორი გახლდათ... მამაშენმა ააგო ის სახელგანთქმული ლაბირინთი, მთელი საბერძნეთი რომ დაიძრა მის სანახავად. ასეთი კაცისათვის უველა ფანჯარა და უველა გული ღია იყო, უველა ქიტონი — ქაშარშებხნილი- ნაფარდობდა, ოპ, როგორ ნაფარდობდა! ოღონდ ეგ იყო: ერთი ფანჯრიდან ორჯერ არასოდეს აფრენილა...

იპაროსი — (თავბარდაცემული) რას ამბობ, დედი! მამა ხომ დაფრინავდა... უველას ეს აკერია პირზე; სიმღერებიც მოუგონეს. შენ ხომ გიყვარდა მამა და კარგად უნდა დაგენახა, როგორ გაფრინდა. ვაითუ რაიმე უბედურება შეემთხვა და იმიტომ აღარ გვიბრუნდებო? შენ კი... ასე რატომ ლაპარაკობ? ეგებ გეშინია, შეილიც არ გამოფრინდესო? ნუ დარდობ, დედი! მე არ მიგატოვებ... არ მიგატოვებ! არასოდეს! ცოტას ვიფრენ და... ზღვას მინდა გადავუფრინო, მინდა იდას მთის მწვერვალს დავხედო, ქალაქ ენოსსაც გადავუარო... აი, ნახავ, დედი, უველა იტყვის, ალოპას ბიჭი დაფრინავსო. და მოწიწებით მოგილოცავენ.

ალმა — (გაიციხლებული) გმადლობთ. მე უკვე მომილოცეს... თანაც ორჯერ. პირველად ასე მითხრეს: მოგილოცავს, გავიგეთ დედალოსი დავიბიამო!“ და მეორედ: „მოგილოცავს, ამბობენ, ოსტატი გაფრინდა და ალოპას საჩუქრად რაღაც დაუტოვაო“. მეტი მოლოცვა აღარ მინდა. მამაშენზე კი... ეგებ მართალიც იყო და წყენას ამდენ ხანს გულდთ არ უნდა ვატარებდე! აი, შენი განუყრელი მეგობარი, „ჩვენი მომეროსი“, პილადეც მოვიდა. მაგას პკითხე, უველაფერი იცის... ფრთებზეც და სიყვარულზეც... (ეძახის) ეი, პილადე, აქ ჩამოხრძანდი, სიგრილვია. მჭადი საცაა გამოცხვება... სამწუხაროდ, რძე დამეღვარა...

შემოდის პალადე

პილადე — ნუთუ ვინმეს შესწევს ძალა შენი ნახელავი იუაროს, ალოპა? ან იუაროს ჩამოტდომა იმავე ეზოში, საიდანაც კრიალა ცას მიაშურა დუთაებრივმა დედალოსმა, მთელ ქვეყანაზე სახელი რომ გაუთქვა ჩვენს აუვავებულ, გაფურჩქვნილ კუნძულს, რომელზეც მეფეთა შორის უბრძნესი, უსამართლიანესი და უმშვიდობისმოყვარესი მინოს მეორე მბრძანებლობს...

ალმა — (დანანებით) აღარ მოეშვა ამ დეკლამაციას! (გაბრაზებით) მისმინე, მომეროსი ლაუბობას თავი დაანებე და ბაღს მიმიხედე. ლამის არის კეუიდან გადავიდეს, ისე აინტერესებს იმ ფრთების ამბავი. უველაფერი უამბე: წამოიწარდა, უკვე დროა სიმართლე გაიგოს. ოღონდ, გეთაყვა, პოეზიასა და მეგზამეტრებს შეეშვი. ახალგაზრდობამ სიმართლე უნდა იცოდეს- (ამოიოხრა) აღარც მე ძალმიძს მარტომ ვათრიო დედალოსის მძიმე ფრთები; თანაც ხალხს თვალი ვუხწორო და სულ ერთი და იგივე ვიძახო: გაფრინდა! გაფრინდა, ბატონო, და ჭერ არ დაბრუნებულა! (ძველ კალათს ფებს გაპკრავს) მეზი დაგაყარეთ თქვენც და იმ ფრთებსაც! (გაღის)

იპაროსი — (მთაყვირებს) ფრენა კაცობრიობის ოცნებაა! რას იფიქრებს მომეროსი?! (პილადეს მივარდება) მამა ხომ გაფრინდა? ხომ გაფრინდა? თქვი, ხომ გაფრინდა?

პილადე — (თავის დაძვრენას ცდილობს) ისე, რა...

- იპაროსი** — სიმაართლე მითხარის ვერ გაიგონე, დედამ გიბრძანა, სიმაართლე უთხარიო!
- პილადი** — (თხვრით) რაკი არ იშლი... (პაუზის შემდეგ) მამაშენი გაიქცა, ბიჭო!
- იპაროსი** — (ვერ გაიგო, თუთიუყუშვით იმეორებს) გაიქცა...
- პილადი** — (ჩქარობს აუხსნას) დედაშენს კი არ გაიქცა არც შენ, არც შენ... ახლათ იცი, მამაშენი დიდებული ოსტატი იყო: ყველაფერი იცოდა, ყველაფერი შეეძლო. თუ რამეს ხელს მოჰკიდებდა, აუცილებლად გააკეთებდა. კოტას შეთვრებოდა თუ არა, რალაც ფრთებზე დაპარაკობდა. ყოველთვის უღვაწე დაიწყო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეს ამბავი ხელისუფალთ გააგებინეს. იქ დედალოსის გამოგონებას სულ სხვა თვალთ შეხედეს. ფრთებს თუ აკეთებს, ესე იგი, გაქცევა უნდაო... დათესვა ანუ ემიგრაცია, გენმის? არ გაგიგია, ასეთ შემთხვევაში მმართველობა როგორ იქცევა? სულ უბრალოდ: ფებებს გადაგიტვრევენ... რომ არ გაიქცე... რომ სხვა მბრძანებელს ჩვენნაირი ლაბირინთი არ აუშენო. ხელები შეგჩეხა... ხელებს შეგინარჩუნებენ, რომ ხაზო, გეგმო, შექმნა... ოღონდ მხოლოდ ჩემთვის, ჩემ სასიამოვნოდ, ჩემ სასარგებლოდ! გასაგებია? მოტეხილი ფებებით შორს ვერ გაიქცევი. თუ გახსოვს, ოდიშპოზე უკვე გვყავს ერთი ასეთი ფებმოტვრეული, ღმერთებისგან დაკოტლებული შეფესტო, მტედელი რომ არის, მოდა, როგორ გგონია, ადამიანები ღმერთებს არ მიშაძავდნენ?
- იპაროსი** — (თავზარდაცემული) არა მჭერა! მაგას ვერ დავიჭერბი!
- პილადი** — მაშ, შემოხედე; მკითხე ერთი, თვალები რა უყავი-თქო?
- იპაროსი** — რა ვიცი. შენ ხომ ბრმა ხარ!
- პილადი** — (წამობტება) თუ არ იცი, ახლავე გაამბობ. შენ ჭერ კიდევ არ იყავი ამქვეყნად მოვლენილი, როცა ჩვენმა ქარებმა კუნძული დედლოსი დაიპყრეს ზღვაზე გონივრული ბრძოლების შემდეგ. ახლგაზრდა ვიყავ მაშინ, ამაყი და პოეზიის ცეცხლით სავსე: ერთ ღამეში შევთხვე სიმღერა, ჩვენი ქარის სიმამაცის სადიდებელი, მეფე მინოსის სტრატეგიული და ტაქტიკური გენიის საგალობელი. მეორე დღესვე, ღრეობის ფაშს, ვიმღერე იგი. მომიწონეს მხედართმთავრებმა და თვით მეფემაც. თავის სუფრასთან მიმიპატიყეს, თავი გამოყადრეს, მელაზღანდარნენ, მასვეს, მაჭამეს, მაქეს, მადიდეს. მოქროვილი თვისი თასი მარუქა მეფემ. და როდესაც ქებისა და ღვინისაგან მოვრალმა ჩავთვლიმე, რამდენიმე კარისკაცი თავს დამესხა, წამომაქციეს, მიწას დამაკრეს და თვალები, ორივე თვალი დამთხარეს. (ყვირილვით) როგორია? ხომ მოგეწონა? კარგია, არა? ან ხელმწიფის მოწყალება ოდისათვის, ქებისა და დიტირამბისთვის! ხმა ამოიღე! პა! როგორია?
- იპაროსი** — (თავზარდაცემული) კი მაგრამ.. რისთვის? რატომ? პირველად მესმის...
- პილადი** — რისთვის და, აღარაფერი რომ არ ვიხილო, იმ ომის გარდა, ჩვენი მბრძანებლის გამარჯვების გარდა: რომ მხოლოდ იმ ტრიუმფზე ვიმღერო. რას იზამ, არც პირველი ვარ ამ საქმეში, არც — უკანასკნელი. გაგეგონება, აბელებმა დაახრმავეს თვით მომეროსი; ბარბაროსმა კელტებმა კი თავიანთ პოეტს დიდ ფინგალოსს დაუშთეს თვალნი. სხვანი უფრო მუმანურად იქცევიან — აბრმავებენ ოქროთი, წყალობით, უზრუნველყოფით: ადამიანის სულს თხრიან თვალებს. არავინ უწყის, რომელი სიბრმავე უფრო მწარეა; თუმც შორს შევტოპეთ... ჩვენ ხომ დედლოსზე ვსაუბრობდით. მართლა გაინტერესებს ის ამბავი?
- იპაროსი** — ყოველივე უნდა ვიცოდე!
- პილადი** — მოსაყოლი ბევრი არ დამჩნა... მოდა, დედალოსს ვიდაცამ მეფის განზრახვა შეატყობინა: სასახლესაც ემსახურებიან ნამდვილი ადამიანები ზოგჯერ. მამაშენი ჩემთან მოვარდა. მცირე ხანს ვიბჭეთ, ნავი გავმართეთ, ბნელს და ზურგის ქარს დავვლოდეთ და... სიცილიისკენ გახრილდა დედალოსის ნავი. აღუსრულდა, როგორც იქნა, დიდი ხნის ნატვრა: სულ ილტვოდა სიცილიისკენ. წასვლით წავიდა, მაგრამ კუნძულს ვით მიადწია, ველარ შევიტყვეთ. თუმც მაინც უნდა გაქცეულიყო, რადგან უკვე სიხამ დილით გარს შემოერტყნენ თქვენს ზუზულას ჩაფრები მეფის: სად წავიდაო, რატომო, როდისო, ყველახ ამას ეკითხებოდნენ. მდევარი რომ არ აკიდებოდა, ავდექი და ვუთხარი: ფრთები, ასე რუდუნებით რომ აკეთებდა, მბრებზე შეიხხა და ზეცაში აფრინდა-მეთქი. არც ის უთქვამს, საით გაფრინდა და არც — როდის დაგვიბრუნდება-მეთქი.

იპაროსი — და ასე შექმენ ეს მარადიული სიმღერა მფრინავ დედალოსზე?

პილადე — იმ დღესვე არა, რა თქმა უნდა, შემდეგ, ნელ-ნელა.

იპაროსი — როგორ შესძელ, ასე გეცრუა?

პილადე — შე მამაშენი ვიხსენ, კაბუკო!

იპაროსი — ძალიან იოლად ამართლებთ ხოლმე ნათქვამ სიცრუეს ხანში შესულნი

პილადე — რა სიცრუეა, ჩემო კარგო, ფიქრში ხომ ფრენდა? ხომ ფრენდა? სიმართლეა იძულებითი ემიგრაცია რომ არა, ვინ უწყის, იცნებ ანუ კიდევ მფრინავი ფრთები. საოცარი რამ უნდა გითხრა, ჩემო იპაროს, გინდ დამიჯერე და გინდ არა: სიმღერას ვთხოვდი დედალოსზე, თავად კი ვფრენდი. ხინდისს ვფიცავ, იმ ხანუკვარ ბედნიერებას შევევხე ცხოვლად, ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია მანამ, ბედნიერი ვიყავი, რადგან ეს აღარ იყო სიმღერა მეფე მინოსის ტრიუმფსა და ზღვაზე კუნძულ დელოსთან მტრის ძლევაზე. როგორ ვმდეროდი, ნეტავ გესმინა! იცრუეო, წიდან მითხარი. ეს სიცრუე კი არა, კეშმარტება იყო ციხე მოვლენილი! შე შექმენ მითი მამაშენზე! შე წამოვწიე ეს იღრა მფრინავ ვაჟკაცზე, ახლა ათასობით კაბუკოთა გულებს რომ აღფრთოვანებს და, მათ შორის, შენს გულსაც რომ ცეცხლად მოედო; რას შეტყვი, განა ის ფრთებიც, ფარდულში ჩუმად რომ აკოწიწებ, შე მოვიგონე? (თანდათან ალეგზნება) დაიმახსოვრე: თუ მოსწყდები დედამიწას შენ, იპაროსო, თუ მოსწყდებიან დედამიწას ძმები შენი, შეილთაშვილნი ან მონაგარნი — ჩემი სიმღერა მოგონილი აღარ იქნება! თუნდაც დამარცხდეთ ცასთან ჭიდილში შენ ან შენი შთამომავალნი, მაინც გიცხადებ, სულ ერთია, ჩემი სიმღერა არ იქნება არცა სიცრუე, არც მოგონილი; და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ეს სიმღერა იმაზეა, თუ რას ელტვოდა, თუ რას ელტვის და მუდამ ეამს რასაც მიელტვის ადამიანი. თავისუფლების მიმნი გახლავთ ჩემი სიმღერა.

იპაროსი — (გაცეცხლებული) მფრინავად ვრაცხდი, ის კი თურმე ნიჩბებს უსვამდა! (პაუზის შემდეგ) მოიცა, მოიცა... შენ ვინ გგონივარ, ჩემო პილადე? დედაჩემის ძალდატანებით რაღაც ზღაპარი მოიგონე და თავს გინდა რომ მომახვიო? არ მჭერა ეგ ამბავი, პილადე, და ძალიან გთხოვ, შენც არასდროს გაიმეორო. გადაივიწყე, გადაივიწყე! (პაუზის შემდეგ) აი, სიმღერა შენი კი მჭერა... გემუდარები, დაამღერე ახლა ის მუხლი, დედალოსი კრეტას რომ დაჰფრენს, მშობელი კუნძულის ხილამაზით გადარეული.

პილადე — (მხარზე გადაკიდებულ ღირას ჩამოიღებს, სიბებს აედერებს ხელის ჩვეული, დინჯი მოძრაობით და რენტიტატივით მღერის).
და აირეკნა დედალოსმა, როს იგრძნო ქარი,
ძლიერი ფრთები დაიქნია და აჩუვა კავლებს
და მოეჩვენა: არ უშვებდა მიწა ხელიდან,
თითქოს დაემა უხილავი მძიმე ჭაქვებით.
ზევით, სულ ზევით გააქროლეს იგი მძლე ფრთებშია
და პა, რას ხედავს — მშობელ კუნძულს, ედემის სადარსი
რქუა დედალოს: „ზეციისფერო დელფინო, კრეტა!
იღას მთა წმინდა შემოგისვამს ზურგზე ბალღივით
და შენს ფერდობებს ზღვის ქაფივით ესევა ცხვარი;
მწვანე ბუჩქები ანგელოსთა მკვანან მანდილებს...
რომელი ერთი ჩამოვთვალო — ზვრები თუ ძნები,
ბუხრის კვამლები თუ კოპწია ზეთისხილები?!
მშობელო მიწავ, ერთი მითხარ, რა ვარ უშენოდ,
თუმცა საცაა თავს ზე უნდა გადაგაფრინდე?“

ალკა — (ქოხის დირედან) ასეც ვიცოდი — უბეგზამეტროდ წუთს ვერა ხძლებ. ერთი მითხარი, როდისღა ისვენებ?

პილადე — შე ღმერთსა ვგავარ, ქალო ალკა: ვისვენებ, როცა შრომისაგან ოფლი მდის ცხელი და ვმუშაობ, როცა ვისვენებ.

ალკა — მჭადი გამოცხვა... ამბროსია ნუ გეგონება, მაგრამ არც შენა მყავხარ უცოდველი უფალო.



პილადა — (ქობისკენ მიდის) რა ვიცით, ალოპა, რა ვიცით...
იპაროს — (მიყვარებს) შენ პოეტი ხარ, პილადა. ნამდვილი პოეტი შენში პოეტი ნაღდად ხეაბნის ენატკბილ მთხრობელს.

პილადა — ხაი ხაი მაშ, კარგი უქნიათ, ორთავ შვადი რომ ამომთხარეს.
იპაროსი — მე გავფრინდები, პილადა! აი, ნახავ რაც უნდა მოხდეს, გავფრინდები... უთუ-
ოდ... მამარემოციო.



პილადა — ხმა ჩაიკმოდე და ნუ გაპკივი აგრე ხმამაღლა. ახალგაზრდებს — ხაი! ხაი! ხაი! კიდევ დიდხანს გვჭირდება ეგ თვადები და ეგ ფეხებიც (ალოპას შეყვება ქობში).

მარტოდ დარჩენილი იპაროსი ფარდულს მიაშურებს. მალე უკან გამობრუნდება, ხელებზე ფრთები მიუმაგრებია. იპაროსი ცეკვავს პანტომიმას, რომელიც დედალოსის ფრენაზე მოგვითხრობს. და თან პილადას პოემიდან ხან ერთ, ხან მეორე სტრიქონს წამოიძახებს:

იპაროსი — „ზეცისფერო დედფინო — კრეტა!“
„რომელი ერთი ჩამოვთვალო ზვრები თუ ძნები,
ბუხრის კვამლები თუ კოპწია ზეთისხილები...“
„მშობელი მიწავ, ერთი მითხარ, რა ვარ უშენოდ,
თუმცა საცაა, თავს ზე უნდა გადაგაფრინდე?“
მე მაინც ვიფრენ, ვიფრენ, ვიფრენ, ვიფრენ...

სცენაზე შემოდის კრეტაელები, მათ შორის ქათქათა ქიტონიანი იოკასტე. გუნდს წინ უძღვის ქურუმი. ორი კაცი ძლივს მიათრევს მსხვილ ბოძებზე გაკრულ პლაკატს: „ნურც დარჩენილი ჩვენს კუნძულზე ადამიანი, ოდეს არ უხაროდეს!“ გუნდის ერთ-ერთი წევრი — მწყურვალი კაცი — შემოსვლისთანავე ყველას იოტენისკენ მიახედებს. მერე მივა, მტკიელით ზომავს, სინჯავს.

ქურუმი — (თვალს არ აშორებს იპაროსის ცეკვას) მანდ რას აკეთებ, უმაწვილო?

იპაროსი — მე? (პლაკატს შეხედავს) ვხარობ!

ქურუმი — რატომ მერე, რატომ?

იპაროსი — იმიტომ, რომ... გახარებული ვარ.

ქურუმი — რამ გაგახარა, უმაწვილო?

იპაროსი — იმან, რომ მალე ჩვენს კუნძულზე არ დარჩება ძე-ხორციელი, ოდეს არ უხაროდეს!

ქურუმი — მართალია. ახლა ერთი მითხარი, ეგ ფრთები რად გინდა?

იპაროსი — შერმესსა ვბაძავ.

ქურუმი — ხომ იცი, დღეს აპოლონის დღესასწაულია. ჩვენ ყველანი კნოსში მივდივართ, ღირს აპოლონ საზეიმოდ ბუღა რომ შევწიროთ.

იპაროსი — მე კი შერმეხი ვარ — ღმერთთაგან მოვლენილი, და მოვედ. რათა ვითხრათ თქვენ: ხარობს აპოლონ, რადგანაც ხარობთ თქვენ.

ქურუმი — როგორც მახსოვს, შერმესს ფრთები ფეხებზე ჰქონდა...

იპაროსი — ოდნავ სრულეყვავი მექანიზმი. აზრის წინსვლას რა შეაჩერებს?

ქურუმი — ქეშმარიტებას დადადებ, შვილო ჩემო. ჩვენც არ დავყოვნდებით. ჩვენც წინ მივალთ. მზე სულ უფრო და უფრო ბრწყინდება. ჩვენი ზეთისხილი უფრო და უფრო მსხვილ მარცვალს იხამს. მალე ერთ ცალსაც ვეღარ ჩავიტევთ პირში. და აი, მაშინ მთელი სიმძაფრით წამოგვეტრება ერთი პრობლემა: როგორ გავადიდოთ ადამიანის პირი? უმაწვილო, დედალოსი ჰერ არ დაბრუნებულა?

იპაროსი — არა. რა გნებავთ, ეგებ მე ვემსახუროთ.

ქურუმი — ხაი მაშ დედალოსის ხელსაწყოებს წავიდებთ. ჩვენ მხოლოდ ჩაქუჩი და დანა გვჭირდება. ჩაქუჩს ბუღას თავში დავკრავთ და გავაბრუნებთ. დანას კი ყელში გამოვუსვამთ. ეს დიდი პატივია დედალოსის ხელსაწყოებისთვის.

იპაროსი — მართალსა ბრძანებთ... მაგრამ დანაც მჭირდება და ჩაქუჩიც...

ქურუმი — არა არის რა იმაზე სასიხარულო, უსაკიროვს ნივთს თუ გასცემ!

იპაროსი — ეგეც მართალია (ფარდულიდან დანას და ჩაქუჩს გამოიტანს). არა არის რა იმაზე სასიხარულო, ნათხოვარ ნივთს თუ დააბრუნებ.

ქურუმი — ტრადიციისამებრ, დანა უნდა დაისაჯოს: ზღვაში უნდა ისროლონ; ასეა უხსოვარ დროიდან.

იპაროსი — სად სჯით ხოლმე დანებს?

ქურუმი — თოღიების კლდესთან.

იპაროსი — ვმადლობთ. თუ ნებას მომცემთ, თოლიების კლდესთან დავყვინთავ და დანებს ხლომად მოგართმევთ.

მურუმე — (წასვლისას) არა არის რა იმაზე ხასიხარულო, ასეთი გამგონე უმაწვლილი კაცი რომ შეგხვდება.

იპაროსი — (ფოკისტეს ხელს წააგლებს) იოკასტი, გთხოვ, დარჩი ჩემთან.

იოკასტი. არ შემოძლია. წესის აგებაში ვმონაწილეობ. დანის გახალისად ამოვიტანო.



იპაროსი. — სამწუხაროა.

იპასტი — შერე კი... თავისუფალი დროც მიქნება...

იპაროსი — მაშ, გამოიქვც ჩემთან, იოკასტი- ხომ მოხვალ? ხედავ (ფიცრებსა და იალქანს უჩვენებს), რამდენი რამ შევაგროვე? ფრთები გავაკეთოთ!

იოკასტი — თუ იქ რაიმე უფრო სასიხარო არ იქნება...

იპაროსი — რა უნდა იყო... მოხუცების ღაუბობის მეტი...

იოკასტი — (გარბის) კარგი, მოვალ...

იპაროსი — არა არის რა იმაზე ხასიხარულო, ასეთი გამგონე გოგონა რომ შეგხვდება. (ფრთებს შეიხსნის) ჩვენ გვიხარია, რომ თქვენ გიხარიათ, რომ ჩვენ გვიხარია. (იალქანის ჩრდილში ფუსფუსებს, ფიცრებს ერთმანეთს მიულაგებს, ფრთას დამსგავსებს, შემოდის მწყურვალი)

მწყურვალი — ლამის არის წყურვილით მოვკვდები. წყალი მაინც მომიტანე, ბიჭო.

იპაროსი — მაქარი გვაქვს, თუ ინებებთ...

მწყურვალი — (დაფიქრდა) ყველა ღმერთი, გახდა დიონისესი, წყალს აირჩევდა.

იპაროსი — ჩვენი წყალი დვინოსავით მათობდება. მთაში რომ წყაროა, იქიდან მომაქვს. (ქობში შევა)

მწყურვალი ჩამოხსნის იალქანს, დაახვევს, ამოიღლიავენს და გარბის. დოქით ხელში ბრუნდება იკაროსი, მწყურვალს ეძებს, ყველაფერს მიხვდება. დოქს თავზე დაიპირქვავენს და, შუა სცენაზე გახინდრული, ღრიალებს:

იპაროსი — ვხარობ და ვხარობი ო, რა გახარებული ვარ! შემომხედეთ, გინახავთ ასე გახარებული ადამიანი?

ალკა — (ქობიდან გამოვრბის, შეშინებული) რა მოხდა? რა გაყვირებს?

იპაროსი — იცი, დედიკო, რაც უფრო ხმამაღლა უვირი, გახარებული ვარო, მით უფრო იტანჯები. ადრეც ასე მეგონა... ჯღეს კი დავრწმუნდი.

ალკა — რას არ მოიგონებ! მე კი ვიფიქრე, რაიმე უბედურება მოხდა-მეთქი. (შინ შევა).

თითქოს იკაროსის ძახილს ელოდნენო, შემოვრბის მსუბუქ ტრიბუნათა გუნდი: სამი ერთნაირად შემოსილი მამაკაცი, მათ მხარზე ჰკიდიათ მსუბუქი დასაკეცი ტრიბუნები, მხატვრის „საეტიუდე“ ყუთის ან ნოტების ჩასაწყობის მსგავსი. მათ წინ უძღვის ერთი უტრიბუნო კაცი.

მტრიბუნო კაცი — (მსწრაფლ შეაფასა გარემო) პირველი — ფარდულის უკან! მეორე — კლდესთან! მესამე — ზეთისხილის ძირში!

პირველი — ავღმართოთ კიდევ ტრიბუნები?

მტრიბუნო — არა, განსაკუთრებულ მითითებას უნდა ველოდოთ. (იკაროსს) მთავარ ტრიბუნას ხომ არ ჩამოუვლია?

იპაროსი — რა მიბრძანეთ?

მტრიბუნო — მთავარ ტრიბუნას ხომ არ ჩამოუვლია-მეთქი? აი ასეთი... მაღალი რომ არის, კოშკივით? ზედ შედგებიან და ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ.

იპაროსი — კოშკი? არა, არ ჩამოუვლია.

მტრიბუნო — სასიამოვნოა! ვეცადოთ, აქ დავუბნოთ გზა. (სინანულით) ები ერთი პაწია ტრიბუნაც რომ გვემონდეს! რა დაწყევლილი კუნძულია. ნაფოტსაც ვერ იპოვნის კაცი.

მესამე — (მიუთითებს იკაროსის ფიცრებზე) ნახეთ, რაღაც ფიცრები მყრია.

მტრიბუნო — (ათვლიერებს) კარგია, სასიამოვნოა!

მეორე — (ყვირის) მთავარი ტრიბუნა! მარჯვნიდან!

მტრიბუნო — მოემზადეთ! ტრიბუნები აღმართეთ! (ოთხი მონა შემოიტანს და დადგამს ძველი ბერძნული სვეტებიანი, ფრესკებიანი, ჭანდაკებიანი და ა. შ. ტაძრის პორტალის მსგავს მთავარ ტრიბუნას. მონების უკან მომაგალი კაცი სწრაფად ადის ტრიბუნაზე მიღგმულ კიბეზე. იმართება სიტყვიერი ომი, რომელიც გუნ-

დაიბნა მოსაგვს. მოწინააღმდეგენი გადარბიან, უტევენ, უკან იხევენ. მსუბუქი ტრიბუნები უფრო აქტიურობენ. მთავარი ტრიბუნა პასუხობს იშვიათად, მაგრამ მჭიდროდ.



- პირველი — დემოკრატია!
- მეორე — უველასათვის!
- მესამე — უველგანი!
- მთ. ტრიბუნა — მონარქია!
- უტრიბუნო — მეორე ტრიბუნა — წინ-
- მეორე — (გამორბის) ძირს მეფე! ძირს მინოს მეორე!
- პირველი — (აჩქარებით) მოგვეციო პური — პური — პური!
- მთ. ტრიბუნა — უველა! მაძღარარრრია!
- მესამე — გვიჩვენეთ რაიმე ხანახაობა!
- მთ. ტრიბუნა — უკვე უველა მხიარარრრულია!
- პირველი — მზე! მზე გვიჩვენებ!
- მეორე — ჩრდილი და სიგრილე გვენატრება!
- მესამე — წვიმა! ტალახი-
- მთ. ტრიბუნა — (ცისკენ უთითებს და ხელებს უშეოვად გაშლის).
- პირველი — ქურქები! ქურქები უველას!
- უტრიბუნო — ქურქებს ნუ ახსენებ!
- პირველი — ძირს მონობა!
- მთ. ტრიბუნა — გაუმარჯოს მე-ფეებს!
- მეორე — თავისუფლება!
- მესამე — თავისუფლება!

მთ. ტრიბუნა — (უნევენებს სამი უზარმაზარი თითის კომბინაციას) ინებეთ! (მსუბუქი ტრიბუნები დაიბნენ: არ ელოდნენ, ასეთ იარაღს თუ იხმარდა მთავარი ტრიბუნა. ამ დროს იკაროსი, თმობანას გატაცებით რომ უყურებდა, ველარ მოითმენს, კლდეზე აცოცდება. ხელებს ფრთებივით გაშლის და ტუნვას მოჰყვება, თან ყვარის)

იპაროსი — მიეც ფრთა უველას! უველას ფრთები! ფრთები — უველას! ფრთები, ფრთები — უველას!

დაბნეული მთავარი ტრიბუნა უკან იხევის. მონებს გააქვთ ტრიბუნა. მთავარი ტრიბუნის კაცი, მართალია, აქეთ-იქით იშვერს „აქრძალულ“ იარაღს, ჰყვირის — ინებეთ! ინებეთ! ინებეთ! მაგრამ ცხადზე უცხადესია: ბრძოლა წაგებულა. ერთხანს სცენაზე სიჩუმეა. ერთნი ამუნციეებს ჰკრეფენ, მეორენი ოფლს იწმენდენ.

უტრიბუნო — (იკაროსის ფიცრებს შეაგროვებს, მერე ჰაბუკთან მივა და ხელს მრავალმნიშვნელოვნად ჩამოართმევს გმადლობთ, ჰაბუკო, გმადლობთ!

იპაროსი — რისთვის?

უტრიბუნო — დახმარებისთვის. დროზე მოგვისწარი, ზუსტად გამოჩნდი. ასე ნორჩი და ასე ჰკვიანი?! აღმაფრთოვანა შენმა შეგნებაში (ტრიბუნებს) მიაქციეთ უურადლება: ფრთები, ფრთები უველას! როგორი ლოზუნგია, ა? რაც მთავარია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხში, მის წიაღში იშვა. (პირველს, საყვედურით) შენ კი — ქურქებო! ზამთარი მაინც იყო. ფრთები გვიბდა, გენმის? აბა, დაკვირვებო ტრიბუნები და წავიდეთ. მთავარს ბოლომდე უნდა ვდიოთ და, რადაც უნდა დაგვიკდეს, ქალაქში არ უნდა შევუშვათ. (გადიან)

იპაროსი — (მიიბრუნს) ჩემი ფიცრები?

უტრიბუნო — ოპ! დიახ, დიახ! გმადლობთ, ჰაბუკო. თქვენი ფიცრები რეკვიზირებულია. მათგან ხვალ დილისთვის კიდევ ერთ ტრიბუნას ავაგებთ.


იპაროსი — კი მაგრამ, მაგ ფიცრებს დიდი ხანია ვაგროვებ... ფრთები მინდოდა...

უტრიბუნო — (გასვლისას) მართალია, სავსებით მართალი ბრძანებაა: ტრიბუნა ჩემი ფრთებია. შენი ლოზუნგია ასეც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ტრიბუნა უველას!

იკაროსი ცდილობს დაიბრუნოს ფიცრები, მაგრამ, ეტყობა, კულისებში ძლიერ დარტყმას იგემებს, რადგანაც სცენაზე კისრისტებით შემოვიარდება და მიწაზე გულდაღმა ეცემა.

იპაროსი — (მიწაზე გველივით იკლაკნება) წინ! (ერთი ნაბიჯით წინ გახობდება) უკან! (უკ-

ან იწვევს ერთი ნაბიჯითვე, ნახევრადკითხვით, ნახევრადმლიქვნელურად, ნახევრად თხოვნით) წინ? უკაცრავად, მამაკითხე; უკან! ხედავთ, მივფრინაავე! ასეთი ფრენა უფრო ეხერხებათ ადამიანებს, რა საამურიცა, მუცელზე მშობლიურად მიწა რომ გეხება (იკლაკნება) მივფრინავი (იხვე თითქოს სურს ეღობოს, ეღობოს) კიდევ უკან? ახლავ, ბატონო! ახლა წინ, არა? რაც ძალი და ღონე



მაქვს, არა? მივფრინაავე (წამოხტება და ზღუქუნით გარბის).

ქობიდან გამოსდის ალოპა და პილადე, პილადე უხერხულად ეპოტინება აკოცოს ალოპას, ალოპა თავს არიდებს.

ალოპა — დამშვიდდი, პილადე.

პილადე — ნუთუ კიდევ ელოდები?

ალოპა — (ოხვრით) აღარავის აღარ ველოდები, უბრალოდ, ვცხოვრობ და ეგ არის. ბიჭი მადარდებს. ეგაც გიჟია: სულ ფრთები აკერია პირზე. ერთ ქალზე ორი მფრინავი მამაკაცი — მეტისმეტია, ღმერთმანი, ნეტავ რა დაგიშავე ასეთი, უფალო, რად შირისხდები?

პილადე. — ეგ რისხვა კი არა, ღვთის წყალობაა.

ალოპა — დიდად გმადლობთ ამგვარი წყალობისათვის, ვერა ხედავ, საცაა ქობი თავზე წამომექცევა. ამას წინათ რამდენიმე ფიცარი მოვიტანე. კედელი ინგრევა და მინდოდა დაემაგრებინა, როგორ გეკადრებათ! ფრთებისთვის შეინახა, ჩემმა ძმამ ძველი იალქანი მაჩუქა; ვიფიქრე, ბიჭს შარვალს შევუკერავ-მეთქი; არ დამანება, სულ გაგიჟდა. ეგებ ჭკუა დაარბო, პილადე ჩემო! (ხელს ჩაიქნევს) თუმცა ქაჩალი რომ ექიმი იყოს, თავის თავს უშველიდაო. შენც სხვანაირად ჭიკჭიკებ. ხომ ხედავ, სასახლეშიც აღარ გიხმობენ: იქ ღვინოს მაინც გადაუღურწავდი ანდა სტომაქს ამოივსებდი. ასე მშიერ-მწყურვალმა და აბრანძულ-დაბრანძულმა როდემდის უნდა იარო?

პილადე — ალოპა, ხომ იცი, შენი ქობი უველა სასახლეს შირჩევია. აქ დაპატიჟებაც არ მჭირდება, იხე მივდივარ. სულ დავრჩებოდი, რომ არ მაგდებდე. (იმდენად შებრუნდება ქალისკენ) ეგებ უკვე გადაიფიქრე, მა, ალოპა? შენზე სიმღერებს შევთხზავ. შე ხომ გხედავ, კარგად გხედავი საოცარია: მზეს ვერა ვხედავ, შენ კი ცხადად, თვალნათლივ გხედავ.

ალოპა — კარგი ერთი, ნუ აზვიადები!

პილადე — ვგრძნობ: იხვე ელი. ებ, დედალოს, დედალოს, ჩემო კეთილო მეგობარო... ჩემივ ხელეებით დაგაბრჩობდი, მაგრამ უკვე გვიან არის. (მწარედ) ქალებს მფრინავი კაცები უყვართ. მართალია, ამდაგვარი სიუვარულით იტანჯებიან, მაგრამ მაინც იმათ არჩევენ.

ალოპა — (შინიდან ღვინოინი ტივი გამოაქვს) ამა, დალიე, გუფი გაიგრილე. წლივანდელი მოსავლის ღვინოა.

პილადე — ცაცხლი ეგრე ადვილად არ ცხრება. (პაუზა) ნუ მაგდებ, ხომ იცი, შენი სახლიდან შორს არ წავალ. (სცენის შუაგულში ხელებით წრეს ხაზავს) აქ არის ჩემი საბერძნეთი, ჩემი ოლიმპოსი; აქ არის ჩემი სრა-სახახლე, სამკვიდრებელი.

ალოპა — (ღირვდან უყვირის) სიმართლე თუ გინდა იცოდე, მფრინავი მამაკაცებიდან შენ უველაზე მალეა აფრინდები.

პილადე — გმადლობთ, ალოპა! (ტიქს და ღირას ზეთისხილის ხეზე ჩამოკიდებს, კლდის წრდილქვეშ გაიმოტება).

„ვინ გაგიხედავს, ამ მთვარის ქვეშ დაბადებული, ო, დედაკაცო, ხმამალლა თქვას შენი აუგი? სამაგიეროდ, ქებათ-ქებას არ აქვს საზღვარი...“

ჩემი არ გეგონოთ, მოშეროსისაა, მაგრამ არა უშავს, მაინც კარგია. საიდან იცოდა იმ ბერებმა, ასეთი ქალები რომ ამშვენებენ ქვეყანას? კანტიკუნტად, მაგრამ მაინც არსებობენ პენელოპე... ალოპა... როგორ მღეროდა ეს სიტყვები, არ გეყურებათ? პენელოპე... ალოპა! (ჩაიძინებს) ზღვიდან ბრუნდება იკაროსი. დანების გროვას შუა ეზოში დაყრის. მერე სათითაოდ ღესავს კლდეზე გააყვებით. შემოდის იოკასტე, მხარზე სარეცხია კალათა დაუკიდია.

იოკასტე — ოი, რამდენი მახვილია! ჭერ არ მინახავს ამდენი დანა ერთად!

იპაროსი — არც მე.

იოპასტი — სად შეგაროვე?

იპაროსი — თოლიების კლდეებთან. თხუთმეტჯერ ჩავუვინთე ფსკერამდე და მის ამოღარ-ჩიე. რამდენიც გნებავთ, იმდენია, ოდნოდ უკვე დაუბნებელია.

იოპასტი — ამდენი რად გინდა?

იპაროსი — დავლესავ და ხალხს დავურიგებ. რაც მალე დასჭრის უნდა ერთმანეთს, მით უკეთესია.

იოპასტი — შე კი ვიფიქრე, უჩაღების გუნდი თუ შეგკრა-მეთქი.

იპაროსი — უჩაღების მეტი რა არის, მიიხედ-მოიხედო! ვინ არიან ესენი? რა თქმა უნდა, უჩაღები, ხარბი, უმოწყალო, გაუმადლო უჩაღები. ამათგან თავის დაცვა თუ გინდა, უნდა შეიარაღდე, სხვა გზა არ არის.

იოპასტი — რას ამბობ, იპაროს? ადამიანი ადამიანის ძმია.

იპაროსი — ძმა? ხა-ხა... (კლდეა შეახედებს) აი, ჩემი ძმა, (ზეთისხილის ხესთან მიიჭრება) აი, ვინ არის ჩემი ძმა! (ცაში ფრინველი დაანახა) ისიც ჩემი ძმაა. (რამდენიმე დანას ხელს დასტაცებს და ავანსცენაზე გაიჭრება) დანა ხომ არ გნებავთ? არა? არც თქვენ? თქვენ ხომ არ ინებებთ? არც თქვენ გინდათ? ნუთუ ნერვებს არ გიშლით იგი მეზობელი? შეხედეთ, შეხედეთ, კუდიც კი არ ახურავს თქვენებურად, თორემ აზროვნებით ხომ სულ სხვაგვარად აზროვნებს. ნუთუ არც ის გინდათ, ის, სავარძელი, ახლა რომ სხვა ზის, ზემჯდომი? ნუთუ ჯერ არ მოგი-საზრებიათ, რომ ტრიბუნა თქვენ უფრო შეგეფერებათ, ვიდრე იმას? თქვენ ხომ არ იყავით, მეგობრები, მეზობლები და ნათესავები წვრილ-წვრილად რომ გაჭორეთ? ან ხომ არა გშურთ ვიდაცის სახლი, ზეთისხილის ბაღი თუ ზვრები, ან ფრთები, ბოლოს და ბოლოს, ფრთები მაშინ, ველარ გამოვიდა, დანა რატომ არ გჭირდებათ. ასე ხომ უფრო კარგად გავარკვევთ ურთიერთობას. (დანას აი-ღებს) მთავარია, კაცს რწმენა ჰქონდეს, დანიანი კაცის რწმენა; ბევრდანიანი კაცისა არ გნებავთ? აა, მივხვდი, მივხვდი: თქვენ კეთილი და კარგი ადამიანები ხართ. თქვენ არ მიძვრებით სულში (უკაცრავად, ეზოში) ტრიბუნებითა და ღო-ზუნგებით. (ცრემლივარული) ჩემგან არაფერი გჭირდებათ და, ალბათ, ამი-ტომი საკვირველია, უველას რაღაც უნდა, უველა რაღაცას მართმევს, თქვენ კი... უღრმესად გმადლობთ სიკეთისათვის... ფრთებს რომ არ მამტვრევთ... ის პატარა ციფრები რომ არ წამართვიან... ის დაგლეჯილი იაღქანი რომ არ მომ-პარეთ. ალბათ, იფიქრეთ, ითამაშოსო ბავშვმა თავისთვის... ესე იგი, თქვენ ვერ მიხვდით, რომ ფრთები მოწოდებაა, სინამდვილის შურისძიება, დაუმორჩილებ-ლობა რომ ცოდვას მასზე ოცნება, სიზმრად ხილვაც კი არ შეიძლება არ შეი-ძლება აკრძალულია გმადლობთ, რომ ვერ მიხვდით... რომ არ გააძევებთ მამა-ჩემი კრეტადან... რომ არ დასთხარეთ თვალები პილატეს.. რომ არ დასცინით საწყაღ დედაჩემს... გმადლობთ, რომ არ მართმევთ დანებს. ხედავთ, რა ერთი ბეწო სჭირდებათ ადამიანებს, ურთიერთის მადლიერნი რომ დარჩნენ? (ცვირის) ვხარობ! ო, რა ძალიან მიხარია, რადგან ერთი ბეწო რამ სჭირდებათ ადამიანებს, წყალი რომ ამოგიტანია ბუღის გამოსაღადრი დანის გასაღებსადმ კიდევ იმიტომ ვარ მადლიერი, რომ დაპკალით ბუღა და არა მე. საწყაღი ბუღა! მის მკვდარ თვალეში შენი თეთრი, ქათქათა ქიტონი თანდათანობით გასისხლისფერდა! ო, ბედნიერო იპაროსო, შენი თავებედი თვალეები კი ცხადად ხედავენ რასაც თეთრი ქიტონი ფარავს.

იოპასტი — იპაროს, თუ არ დადუმდები ახლავე წავალ.

იპაროსი — ის დასერილობს ქვეყნის ვილებზე, ღმუის და ბლავის: მე ვხარობ, ვხარობ; ვხარობ იმიტომ, რომ მოხვედრი, იოკასტი, თორემ ეს დანები ჭკუიდან შემ-შლიან. თორემ არც ისე გაძნელებია, დავიჭერო, რომ შენ, მაგალითად, კი არ დალოდავ სხვებთან ერთად, არანედ დაფრენი მოვრი, იოკასტი, დავამთავრე, ახლა აღარ ვიცი რა ვაკეთო, ერთადერთი, რაც შემიძლია, ვიჭდე და უსასრუ-ლოდ ვიცქირო.

იოპასტი — რატომ? სარეცხის დაფენაში მომეხმარე.

იპაროსი — ახლავე! ჯერ თოქს გავაბამ. (ფარდულიდან თოქი გამოაქვს) აი, რა დარჩა ჩე-მი ფრთებიდან. არ გეგონოს, შენანება, დიდი სიამოვნებით გაძლევ ამ თოქს,

უძვირფასესი სარეცხის გადასაფენად. (თოქს გააბამს, თეთრეულს ჰფენს) ზედ-
ნაერა ხარ შენ, თუთრო სუფრავ: სადილობისას იოკასტეს იდაყვები გუნება და
თიფები კი, მტრედებით ჰკენკავენ ნამცოცებს. (სუფრავა გადაფენს) ზედნი-
რი ხარ შენც, ქიტონო, რომ ეხვევი იოკასტეს თავით ფეხამდე. (გადაფენს)
ტონს) მაგრამ თქვენზე ზედნიერი იკაროსია! მას შეუძლია მოეხვიოს იოკასტეს,
აკოცოს კიდევ. (ჰკოცნის) კიდევ აკოცოს... (ჰკოცნის) კიდევ... და არ შეგუ-
სდროს მკლავები და სულ ჩახუტებული ჰყავდეს. მერე სარეცხს უკნებ-
და უტყვირონ როგორ ღამდება და ვარსკვლავები როგორ ჩნდება ცაზე. (მართლაც
ბნელდება და ცაზე ვარსკვლავები ინთება) და მათთვის სულ ერთია ტრიალებს თუ
არა დედამიწა. იმათთვის იხიცი სულ ერთია, რას მოითხოვს, ქვის ხანაა თუ ოქროს
ხანა: მორჩილებას? ღვთისმოსაობას? ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამ-
ნად, ამას ივედრებიან მხოლოდ: ნება მიეცით, იცხოვრონ... ერთურთს ეფერონ...
გამბორონ... ვარსკვლავთ უმჯირთონ და ჩიტებსაც მიეაღერსონ.

იპაროსი — გაფრთხილებ, იკაროს... შენც თუ იფრენ ერთი კაბიდან მეორისკენ, თუ მიმა-
ტოვებ, დედალოსმა რომ მიატოვა ალოპა, ისე... არ ვიცი, რას ვიზამ... მოგვლავ
იცოდე!

იპაროსი — ბორკილები დაახვი ჩემს ფრთებს და მოისვენებ.

იპაროსი — არა... მიჩივნი, ასე მებევოდნენ ისინი მუდამ...

სინათლე ქრება. სხივი გაანათებს სცენის იმ ალაგს, სადაც პილადე გამხლართულა და
ხერხანავს. მას თავს დასდგომია დაბურებული, ქანცვამოცლილი, დაძონძილი დედალოსი.

დედალოსი — ეი, მეგობარო! ეი, კეთილო ადამიანო! მითხარ. გეთაყვა, ეს ალოპას კარ-მი-
დამო ხომ არ არის? აი ის სახლიც, ზღვის ნაპირას, ალოპასია?

პილადე — (იღვიძებს) დიახ, აგრე გახლავთ, მგზავრო. (უტრებს დატყვეტს) ალოპას ამ
დროს, შუალამეს რატომ ჰკითხულობ?

დედალოსი — (თეატრალურად მუხლს მოიდრეკს) ო, გულო, გულო, არ შემცდარხარ, აქ
მომიყვანე! ძაღლივით წინ მომიძღოდი, დაურდომილ სხეულს შეძახილით ძალას
აძლევდი და მაჩქარებდი. აი, შინა ვარ! ო, რა ხანი გავიდა მერე!.. მშვიდად,
მოწყალო ხელმწიფევ, მშვიდად. გამაგრდი. აქ მითომ არ დაბრუნებულხარ.
სიხარულით შუაზე გასკდე.

პილადე — ძალიან ძნელი დასაჭერებელია, მაგრამ თვალნი რომ მქონდეს, ალბათ, დედა-
ლოსს დავინახავდი.

დედალოსი — კიდევ გახსოვარ, კეთილო კაცო? ადრეც მიცნობდი? ტყუილუბრალოდ არ
მიწევდა გული შინისკენ. მწამდა, ვახსოვარ; მწამდა — მელიან. მწამდა: სახე-
ლი ჩემი აქ ფრინველივით დაქრის ბაგიდან ბაგისკენ.

პილადე — თავის შექმნილს და გამოგონილს განა ვეღარ იცნობს ადამიანი?

დედალოსი — პილადე, ჩემო ბებერო კენტავრო! შენ გამაცილე და შენვე დამხვდი?
(გადაეხვევიან)

პილადე — რატომ არ მესმის ფრთების ტულაშენი, ჩემო დედალოს? განშორების უამს ძა-
ლიან უბათქუნებდი?

დედალოსი — ე-ე-ე-ი ეგ როდის იყო. ქარი გვირხევდა მაშინ სიჭაბუკის ქიტონებს აბრე-
შუმისას და ის ხმაურობდა.

პილადე — მახსოვს, პირობა მომეც, მოვფრინდებიო.

დედალოსი — სიცოცხლეში სადღა მქონდა ფრთებზე ფიქრის დრო. ემუშაობდი... მერე,
თანდათან უველაფერი გადამავიწყდა: ესეც არ იყოს, შემეშინდა, ფერხნი იქაც
არ მოემტვრიათ.

პილადე — არის კიდევ რაღაც, დედალოს, შენს ფეხებზე მნიშვნელოვანი.

დედალოსი — გამოგიტყდები, ერთბეღ ისევ მომედო ალი ფრთების შექმნისა. ძლივს და-
ვიოკე ის სურვილი. მახსოვს, ზღვის პირს ვიჭექე და კრეტასკენ გახევდა მწერა,
ისე შენატრებოდა, პილადე, აქაურობა, ამ დროს ჰაბუკი მებადურის მღერა
მომესმა:

„და აირეკნა, დედალოსმა, რას იგრძნო ქარი,
ძლიერი ფრთები დაიქნია და აჰყვა ჰავლებს...“

ვუხმე მებადურს, ვებაასე, ღვინო შევასვი; ვთხოვდი და ვთხოვდი კვლავ ემ-
ღერა, ვიდრე სიტყვებიც და ის ჯანგიც დავიწეპირე. რა შეგიქმნია ჩემგან, პი-
ლადე?

პილადა — ღმერთო!

დედალოსი — მარადიული ესე ტვირთი როგორღა ეწიღო? შენ ხომ მაინც იცი, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ!

პილადა — ზიდავ, დედალოსი კარგად გიცნობ და კარგად გხედავ. ნუ გეშინია! ზიდავ, ზიდავ!



ეროვნული

დედალოსი — ის აღარ ვარ, ძველი დედალოსი თუმცა დიდხანს მძებნიან. შენითაც დიდხანს ვამაყობდი. მაგრამ მივხვდი, კრეტაზე აღარ ჩამომესვლებოდა. შენი ქებათქების მემრე, მე, უფრო დედალოსს, აქაური ბიჭბუჭები ქვების სროლით ამიკლებდნენ. კრეტას, აბა, რაში სჭირდება უფრო დედალოსი. ვლხოთობდი და უკანასკნელი სალანძღავი სიტყვით გამკობდი: სულ შენ ხსენებაში ვიყავი... მაგრამ ვერ გავეჭვეცი შენს ოდას. შენ სიმღერას უველა დუქანში გაიგონებდი: „ო, კრეტა, მითხარ, ერთი მითხარ, რა ვარ უშენოდ.“

თუმცა საცაა თავზე უნდა გადაგაფრინდო...“

პილადა — მაშ, რად დაბრუნდი? (ტიკს ჩამოიღებს) დავლიოთ, დედალოს, ესე იგი, მიტომ დაბრუნდი, რომ ხამშობლო შენი ნეშტით დაანეხვიანო? (გეცრად) ფრთები, ფრთები რა უყავ, დედალოს? სად გადაკარგი?

დედალოს — კარგი, ერთი... ასე ნუ ხუმრობ... ძალიან კარგად მოგეხსენება, არავითარი ფრთები არ მქონდა.

პილადა — (დაბეჭითებით) გქონდა! და შენ ფრენდი, დედალოს! დაგავიწყდა? იცოდე, ისე, უბრალოდ კი არ გეკითხები, არამედ ბრალს გდებ, რადგან ფრენა გადაგავიწყდა!

დედალოს — უური დამიგდე, გვედრები: ხმა ჩაიკმინდე! ცოტა გარდამხდა, თუ რა არის, რომ არ მეშვები?

პილადა — (წამოსტა) მაშ, არაფერი არ მომხდარა? თხუთმეტოდე წლის წინ დედალოსმა პურ-მარილზე რაღაც წაიხუმრა, არა? ეს ხუმრობა არ გეგონოს, ჩემო კეთილს! ხვალვე დილით, გაიგონებს თუ არა შენი კუნძული, დედალოსი დაგვიბრუნდაო, ვისაც კი სიარული შეუძლია, აქ შეგროვდება, თვალი რომ მკიდოს თავის დევ-გმირს. რას ეტყვი, იმათ, იმ ათასებს, ათი ათასებს? ეტყვი: არ იოცნებოთო? ეტყვი: ნუ ეცდებით, სულ ერთია, დედამიწას გოჭითაც ვერ მოსცილდებითო? ეტყვი: ათასგვარი სისულელით გოგრა ნუ გამოგიტენიათო? თუ შენ შევიღს, იკაროსს გაქირდავ: ფარდულში ფრთები ვუპოვე და რაები ხდება აქაო? ვინ მოგცა უფლება ჩაკლა, რაც შენ, ადამიანთა შორის უპირველესთაგან, შეცან მოგივლინა. არ გაქვს უფლება გვილაღატო ჩვენ — აწმყოლებს და მომავალ-თაც. შენ თუ არ ფრენდი, ერთი მითხარ, მაშ ახლა ვინდა გაფრინდება?

დედალოს — (ტიკიდან ღვინოს მოსვამს) არაფერი მე არ ჩამიკლავს, რადგანაც არარა მქონდა. ხიმართლეს ვიტყვი... უველას ვეტყვი: არავითარი ფრთები არა მქონია-მეთქი. უველას ასე ვეტყვი!

პილადა — ვინ დაგიჭერებს? ეს დედალოსი არ არისო — უველა დასძახებს. შესაძლოა, ჩაგქოლონ კიდეც. ვინ მოგცემს ნებას, დაამდაბლო შენივ... თუმც არა, ახლა უკვე მათი იდეა... მათი დედალოსი?

დედალოსი — (ილელდა) შენ მოგიხმობ და ხიმართლეს მოგთხოვ: უველამ გაიგოს: შენ გამა-ცრდე სიცხლიაში და კარგად ნახე, როგორ გავფრინდი... (გონს მოეგება) როგორც მოვუსვი...

პილადა — ტყუილად აზუსტებ — ნამდვილად დავინახე, როგორც გაფრინდი. იცი, ეგ სი-მართლე, როგორც შენ ეძახი, იკაროსს ვუამბე. ბევრი იცინა, ერთი სიტყვაც არ დამიჭერა. მას ჩემი სიმღერისა სჭერა, დედალოსს მას და მასთან ერთად მრავალ ათასსაც. გულით რომ მინდოდეს, ამათ ვეღარ გადავაჭერებ... ვერც შენ...

დედალოსი — (ნერვიულობს) მაშინ მოვითხოვ, ქვისმთლელი მიღეთი იხმონ. ისიც იქ იყო, შენ რომ სიცხლიას მაყილებდი. ის ხომ მაინც იტყვის, ჩვეულებრივი ნავით მიცურავდაო.

პილადა — მიღეთის ძვლებიც არ იქნება ახლა მიწაში. ცოცხალი რომ იყო, უველას აზარ-ტით უყვებოდა: როგორ შეისხი ფრთები, როგორ გამოიქვც, როგორ აირეკნე აი იმ კლდეზე, ჭავლებს ვით აქუვე და მერე როგორ მოუხვიე სიცხლიისკენ. მიღეთისათვის უური რომ გეგდო, იმასაც ამბობდა, ვითომ შენ გაფრინის უამს

ახე შესძახე: „ძრწოდეთ, ტირანებო! დავბრუნდები და აი, ამავე ფრთებით დავ-
ხოცავთო!“ (მკაცრად) უკანასკნელად გეკითხები: ფრთები რა უყავ?

დედალოსი — გაგიფებულხარო და ეს არის აქ სუყველანი.

პილადე — დიახ, გავფუდით. შენ გვინა, ისინიც ვაგიფდნენ, ვინაც როზგვეშ...
სული: ან ისინი, ვინც შენ საბედს ჩურჩულებდა და სიკვდილის წინ ვის შეიც-
ქროდა დარწმუნებული, დედალოსი მოფრინავსო.



დედალოსი — ესე რვი, ერთადერთი მოწმე შენა ხარ?

პილადე — ერთადერთი, ჩემო დედალოს, და სიტყუეს ვერ მათქმევინებ.

დედალოსი — კი მაგრამ, შენ ხომ მაშინ უკვე ბრმა იყავი!

პილადე — თურმე ნუ იტყვი, შენწე უკეთ ვიხედებოდი.

დედალოსი — (უფრო აღელვან) მოდი, დავლიოთ, პილადე, როგორც მაშინ, დიდი ხნის
წინათ.

პილადე — დავლიოთ, დედალოს, (გაჩუმდება) რა კარგია, მე რომ შეგხვდი და სხვა არა-
ვინ.

დედალოსი — ჩემი ბიჭო, იპაროსი, როგორღაა? შელოდება?

პილადე — გელის, მხოლოდ ფრთიან დედალოსს!

დედალოსი — ალოა? ალოააც ხომ კარგად არის?

პილადე — იტანჯება და მერე როგორს უფროოდ დაბრუნდი, რა გამოდის? ამდენი წელი
ტყუილად იტანჯა?

დედალოსი — შენი სიმღერის გადარჩენაზე უფრო ფიქრობ, მგონი, პილადე.

პილადე — გადარჩენა მსურს მხოლოდ შენი, გამუდარები, გადარჩინე შენივ თავი, ოღონდ
მფრინავი! გადარჩინე შენი ფრთები: ე მაგ უფროთბოდ ადამიანს რა დარჩება
გადასარჩენი, გარდა სიღამბლემუპარული, მძორი ტანისა?

დედალოსი — რა უფლებით ამბობ მაგას?

პილადე — შენ კი რაღა უფლებით გვეჩვენე უფროოდ?

დედალოსი — დაგადრჩობ, აცოდე!

პილადე — სიმღერას რაღას უწაში? ის სიმღერა თავად მოგკლავს იოლად უფროთბოს!

დედალოსი — დავლიოთ, პილადე...!

პილადე — დავლიოთ, დედალოს, ველარ გცნობ, კაცო! შენ დედალოსი არ უნდა იყო,
თვითმარქვია ხარ, ვილაცა ხარ, ის სხვა გვირისტი იყო შეკერილი... ის ფრენ-
და... შენ კი დალოდავ...

სინათლას სვეტი თოღზე გაფეხილ ქათქათა სარეცხს შორის გააშუქებს იპაროსის და იო-
კანტეს ზეალმართულ ხელებს, ისინი ხელის გადაჭვარდინებულ მტევნებს რიტმულად იქ-
ნევენ გეგონება, ლჭროს ორი ფრინველი დაფრინავსო, მათი ხმებიც კი ესმის.

იპაროსი — ჩემვენ მოიწი, უფრო ახლოს, მომეკარა, იოკანტი! ხომ არ გეშინია?

იოკანტი — ოი, რა მალდა ვართ, იპაროსო, ახე მგონია, ვარსკვლავებსაც გავუთანაბრდით.

იპაროსი — ხამწუხაროდ, მართლაც გგონია... ვარსკვლავებამდე შორი გზა!

დედალოსი — (წამობტვინა, გაოფნებული შესტქერის ორ ფრინველს და უურს უგდებს მათ
საუბარს) პილადე, ხედავ, მიფრინავენ! აი, იმ სხივში... ხედავ? ხედავ? თუმცა შენ რას დაი-
ნახავ...

პილადე — ვხედავ, დედალოს, და შესძის კიდევ მათი კიკჭიკი... აი, ფრენაც ამას მქვია...

დედალოსი — ის ჩემი ბიჭია, იპაროსი იპაროსი მიფრინავს, გესმის?

პილადე — აკი გეუბნებოდი...

დედალოსი — (უვირის) ეო, იპაროს, ძალიან მალდა არ აფრინდე! დამიცადე; ახლავე, ახლავე
მეც... ამოვფრინდები (სიბნელეში კლდეზე აცოცდება)

იპაროსი — მგონი, ვილაცა შეძახის...

იოკანტი — ფრინველი იყო, ძილში იკივლა...

დედალოსი — დამიცადე, არ გესმის, იპაროს! ჩვენ კლდესთან კეთილმოსურნე შემხვედრ-
ქარიც ამოვარდა, ახლავე დაგეწვი, ახლავე!

დედალოსი გამოქანდება, ხელებს გაშლის ასაფრენად გამზადებულ ფრინველივით და
კლდიდან ასკეპებს, სინათლე ქრება, ისევე ანთება სინათლის სვეტი, ახლა ის ძირს ქართხმულ
დედალოსსა და პილადეს აჩაოებს, პილადე დედალოსს თავს დასდგომია, დედალოსს კი
უზარმაზარი, მაგრამ საბედლოდ დამსხვრეული ფრთები ასბია მხრებზე, პილადე ერთ ფრთას
ასწევს, ხელს უშეებს... ფრთა უღონოდ დაეშვება.

პილადე — (წელში ვაჩაართება) მხოლოდ ამგვარად შევრელი გადამერჩინა... თქვენთვის...

უველასათვის... (ზეთისბილის ხიდან ლღრას ჩამოიღებს, ჩამოქრავს)
გამობდა ხანი... დედლოსმა დაღლილი ფრთები
ძლივს მოახერხა კრეტასაკენ ექცია პირი.
მთელს ღამეს ზიდა მან სხეული დამძიმებული...
და როს აისზე შვესთან ერთად გამოჩნდა კრეტა,
როგორც ზღაპარი და დელფინი ზურმუხტისფერი,
როს აჭიკჭიკდა უველა ჩიტი, აენტო მთებიც
და ჩანჩქერები არფებივით ალაპარაკდნენ
და როს იუნოსა ისევე კვამლი მშობელი მიწის...
სულიც აღმოხდა... რას გაუძლებს ამდენს ეს გული!
მაგრამ ვიდრემდე ზორბა ფრთები დაემტკვრეოდა,
მაინც მოასწრო, ეს სიტყვები შესძახა გმირმა:
„ო, კრეტა, მითხარ, რა ვარ ანუ უშენოდ ვინ ვარ,
თუმცა საცაა თავზე უნდა გადაგაფრინდე!“ — და ჩამოიხსხვრა.
სინათლე ქრება.



□